PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი ქეთევან ბოტკოველი

**წევრი:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი - ნანა შათირიშვილი

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „ახალ ტალღა“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 1 ივნისის N423093 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილ „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ამ მიზნით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 30 ივნისს ქ. ქობულეთში.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სასტუმრო მომსახურების საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება; ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება და შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

ვიზიტისას მიმდინარეობდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულებისთვის წარდგენა. ვიზიტის ბოლოს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტის პერიოდში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

"ახალი ტალღა" ევროპის ხარისხის ფონდის EFQM მიერ აღიარებული სასწავლებელია საქართველოში.

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ 2015 წელს ჩაერთო და 2016 წელს ერთ-ერთმა პირველმა წარმატებით გაიარა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ხარისხის მართვის / მენეჯმენტის ევროპული მოდელი (EFQM Excelence Model) - "გზა სრულყოფისკენ" ვალიდაცია. 2016 წლის 13 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით შიდა ხარისხის მართვის (EFQM) "სრულყოფის მოდელის" დანერგვის პროცესში მიღწეული წარმატებისთვის ქობულეთის კოლეჯი "ახალი ტალღა" დაჯილდოვდა და მიენიჭა EFQM-ის პირველი დონის -"სწრაფვა წარმატებისკენ" აღიარება.

რაც შეეხება კონკრეტულ პროგრამას „სასტუმრო საქმე“ შეიძლება აღინიშნოს კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, კერძოდ 2017 წლიდან 2019 წლის ჩათვლით 104 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 59.

## V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

## VII. რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიის“ მასწავლებლებისთვის და კერძოდ გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია ისინი სასწავლო პროცესის დაწყებამდე გაეცნონ და შესაბამისად შეისწავლონ მოდულით განსაზღვრული სასწავლო მატერიალური რესურსი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

# VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სასტუმრო მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მე-4 დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში/ Secondary Vocational Qualification in Hotel Service |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ დირექტორის 18.08.2017 წლის N01-04/107 ბრძანებით;<br>ცვლილებები შეტანილია შემდეგი ბრძანებებით:<br>15.11.2017 წლის N 01-04/166;<br>01.02.2018 წლის N 01-04/10;<br>08.08.2018 წლის N01-04/118;<br>22.02.2019 წლის N01-04/30;<br>05.03.2020 წლის N01-04/38;<br>30.04.2020 წლის N01-04/60. |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული ენა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქობულეთი, რუსთაველის ქ N154 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 105 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 45 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 88 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 118 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free



## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა მიერ შეარულებული სამუშაოს შედეგად, რაც გულისხმობს „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავების პროცესის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაციის გადამოწმებას და რიგ საკითხებზე დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებას, გამოიკვეთა შემდეგი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში «სასტუმრო მომსახურება» ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ, შეესაბამება კოლეჯის მისიას, რომლის მთავარი ორიენტირია პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილის შეტანა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა. მისია განთავსებულია ვებგვერდზე და ხლმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლებია: ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანება (ცვლილება - 2019 წლის 25 სექტემბერი N 882/ი), რომლის თანახმადაც პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანება „საშუალო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

დაწესებულების დირექტორის 18.08.2017 წლის N0104/107 ბრძანებით დამტკიცებულია და 15.11.2017 წლის N 01-04/166 შემდეგი ბრძანებებით 01.02.2018 წლის N 01-04/10; 08.08.2018 წლის N01-04/118; 22.02.2019 წლის N01-04/30; 05.03.2020 წლის N01-04/38; 30.04.2020 წლის N01-04/60 განხორციელებულია ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში «სასტუმრო მომსახურება».

დაწესებულებამ პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 22.09.2017 წლის N50 გადაწყვეტილებით, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2019 წლის 28 ოქტომბრის N211 გადაწყვეტილებით. 2020 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით პროგრამას დაემატა სწავლის შედეგები, კერძოდ არჩევითი მოდული ,,ბარის ორგანიზება“.

გადაწყვეტილება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „სასტუმრო მომსახურების“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ ეფუძნება დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. ამისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარი და პერიოდულად აწარმოებს სხვადასხვა დაწესებულების, სკოლის თუ დამსაქმებლების გამოკითხვას. ერთ-ერთი ასეთი წერილი დაწესებულებამ გაუგზავნა ქ. ქობულეთის, ქ. ბათუმის, დაბა ხელვჩაურის, ქ. ლანჩხუთის, ქ, ოზურგეთის რესურსცენტრებს, რათა მათ უზრუნველყოთ მათი რაიონული სკოლების ინფორმირება ახალი ინტეგრირებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით. გამოხმაურებამ აჩვენა მოსწავლეთა მაღალი ინტერესი ამ პროგრამებთან დაკავშირებით და მაღალი მოთხოვნილება როგორც სწავლის მსურველთა, ასევე დამსაქმებელთა მხრიდან. კვლევის შედეგად მაღალია ასევე დასაქმების მაჩვენებელი. გადაწყვეტილება ინტეგრირებასთან დაკავშირებით, შეესაბამება ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმასაც, რასაც ადასტურებს კოლეჯის დირექტორის 29.01.2019 წლის ბრძანებით N01-04/13-ით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი სტრატეგიული მიზნის ამოცანა - 1.2. თანამედროვე სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების დანერგვა და სამოქმედო გეგმის N 2 ამოცანის მე-4 აქტივობა. გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით.

2. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომელიც ითვალისწინებს სრულ ზოგადი განათლებას, ხოლო საბაზო განათლება მოთხოვნილია იმ სასწავლო გეგმაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. შესაბამისი წინაპირობა შესაძლებელს ხდის პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“ (დირექტორის ბრძანება 27.02.2020 წლის N 0104/28), რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, დასრულებული პროფესიული სტუდენტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

სტატუსის მინიჭებამდე. დოკუმენტი ეფუძნება და სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებასთან (ცვლილება 26.09.2019 N203/ ნ).

3. ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ შემუშავებულ „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-04/122 ბრძანებით და რომლის საფუძველი გახდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი. მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდა აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ ოდენობის გამოთვლა და განისაზღვრა - ინტეგრირებულისთვის 45 პროფესიული სტუდენტით, არაინტეგრირებულისთვის ერთი კვოტის (135) ფარგლებში.
4. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების შესაბამისობა ჩარჩო დოკუმენტთან. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 2 A გარემო და 5 C გარემო {აუდიტორიები: №100, N501 (A გარემო), სასწავლო სასტუმრო ნომერი -№415, N416, N417 (C გარემო)}, სასწავლო რესტორანი (C გარემო), სამრეცხაო (C გარემო)} B გარემო და ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის შესაბამისი მატერიალურტექნიკური აღჭურვილობით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ასევე ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის შესყიდული საჭირო რესურსი, ასევე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და მათი შესყიდვის დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს, მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შემოწმდა, ასევე პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე საგანმანათლებლო რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში დამატებულია არჩევითი მოდული - „ბარის ორგანიზება“, რაც კურსამთავრებულებს მისცემთ საშუალებას, შეიძინონ პროფესიასთან ერთად დამატებითი უნარ-ჩვევები და დაეხმარებათ მათ დაიმკვიდრონ ადგილი შრომის ბაზარზე როგორც დარგის, ასევე ბარის კუთხით.

   არჩევითი მოდულის დამატების საფუძველი გახდა კვლევა, რომელმაც გამოავლინა, რომ რეგიონში მაღალი მოთხოვნილებაა ბარის თანამშრომლებზე (ბართენდერებზე), რაზეც მიუთითებს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. გადაწყვეტილება არჩევითი მოდულის არჩევასთან დაკავშირებით დაეფუძნა რეესტრის მონაცემებსაც, რომელმაც აჩვენა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ბართენდერის პროგრამაზე დიდი მოთხოვნილებაა აპლიკანტების მხრიდანაც.

   რამდენადაც დაწესებულება ახორციელებდა „ბართენდერის“ პროგრამას, რომელიც გაუქმდა 2019 წლის 31 დეკემბრიდან (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 დეკემბრის N1097/ი ბრძანების შესაბამისად), დაწესებულებას დარჩა მფლობელობაში მატერიალური რესურსი „ბარის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ორგანიზების“ მოდულისთვის და სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ბარის ორი სასწავლო ლაბორატორია. კოლეჯში მუშაობენ ამ დარგის პროფესიული განათლების კვალიფიციური მასწავლებელები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მოდიფიცირებული პროგრამების კურსამთავრებულებს მიეცემათ საშუალება შეიძინონ პროფესიასთან ერთად დამატებითი უნარ-ჩვევები, რაც მათ დაეხმარებათ დაიმკვიდრონ ადგილი შრომის ბაზარზე როგორც დარგის, ასევე ბარის კუთხით.

6. დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/05 ბრძანებით დამტკიცებულია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“. პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია - კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა «სასტუმრო მომსახურება» დამტკიცებულია მის მეირ 18.08.2017 წლის N01-04/107 ბრძანებით; პროგრამაში შეტანილია ცვლილებები შემდეგი ბრძანებებით: 15.11.2017 წლის N 01-04/166, 01.02.2018 წლის N 01-04/10 , 08.08.2018 წლის N 01-04/118, 22.02.2019 წლის N 01-04/30, 05.03.2020 წლის N01-04/38 30.04.2020 წლის N01-04/60.
7. პროგრამის სახელწოდება „სასტუმრო მომსახურება“ შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით (ცვლილება - 2019 წლის 25 სექტემბერი N 882/ი) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

8. პროგრამის შემუშავების საფუძველია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით (ცვლილება - 2019 წლის 25 სექტემბერი N 882/ი) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - ,,სასტუმრო, რესტორანი და კვება“ და 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“. პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. სასწავლო გეგმა გაწერილია 3 სასწავლო წელზე. 5 ინტეგრირებული პროგრამიდან 3 - მათემატიკური წიგნიერება (350 კრედიტი), კომუნიკაცია ქართულ ენაზე (350 კრედიტი) და მოქალაქეობა (250 კრედიტი) ისწავლება 3 წლის განმავლობაში. მეცნიერება და ტექნოლოგიის სწავლება მთავრდება (450 კრედიტი) 2 წელიწადში და მეწარმეობის სწავლება (100 კრედიტი) იწყება პროგრამის სწავლების მესამე წელს. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის მისიით;
- დირექტორის 27.02.2020 წლის N 0104/28 ბრძანებით ,,პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის“ შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

- დირექტორის ბრძანებებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში «სასტუმრო მომსახურება» ცვლილების შეტანის შესახებ; 18.08.2017 - N0104/107; 15.11.2017 - N 0104/166; 01.02.2018 - N 01-04/10; 08.08.2018- N 04/118; 22..02.2019 - N 01-04/30; 05.03.2020 - N0104/38 ; 30.04.2020 - N01-04/60.
- კოლეჯის დირექტორის 29.01.2019 წლის ბრძანებით N01-04/13 დამტკიცებული „სტრატეგიული განვითარების გეგმით“;
- რეესტრის მონაცემებით;
- დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-04/122 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“;
- დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N0104/05 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“ ;
- დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N0104/06 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით“;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ინტერვიუირების შედეგებით.

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

   პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის გაცნობის, მატერიალური რესურსის დათვალიერების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებაში ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (135 პროფესიული სტუდენტი მოდულურ/დუალურ პროგრამაზე, მათ შორის 45 სტუდენტი ინტეგრირებულ პროგრამაზე). პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის არსებობაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით. დაწესებულებაში მოწყობილია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სპეციფიკის გათვალისწინებით, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო კაბინეტი.

2. ინტეგრირებული პროგრამების განხორციელების მიზნით მასწავლებელთა შერჩევა განხორციელდა კონკურსით გზით. ვაკანსიები განთავსებული იყო www.hr.gov.ge -ზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსი გამოცხადდა პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, რომლის განხორციელებასაც იმ მომენტისთვის გეგმავდა დაწესებულება. დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებით განისაზღვრა ინტეგრირებული მოდულებისთვის: „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“, „მათემატიკური წიგნიერება“, „მოქალაქეობა“, „მეწარმეობა“ და „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, პროფესიული მასწავლებლების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნა, მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კონკურსის ჩატარების პირობები და ვადები - ბრძანება №01-04/148. ყველა წესის დაცვით შეირჩა 13 მასწავლებელი, თუმცა გადმოგზავნილ განაცხადში მითითებულია 14 მასწავლებელი, რაც დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ტექნიკური შეცდომაა. ყველა ამ მასწავლებელთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. ამავე მასწავლებლებთან გაფორმდა წინარე ხელშეკრულებები პროგრამებისთვის „სარესტორნო მომსახურება“ და „სასტუმრო მომსახურება“. ხელშეკრულებების თანახმად მასწავლებელი იღებს ვალდებულებას ამ პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

შემთხვევაში ჩაერთოს კონკრეტული მოდულის განხორციელებაში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულებები წესების დაცვით არის შედგენილი.

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა განგვინმარტეს პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გაითვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგჯერ- გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც). ამიტომაც მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით კვირაში მაქსიმუმ 30 საათი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინტეგრირებულის შემთხვევაში - 37, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. სასტუმრო მომსახურების საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მისაღწევად განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება კოლეჯის შინაგანაწესისა (მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნებით) და მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით (დირექტორის ბრძანება №01-04/148), მათი პირადი საქმეებით, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა პედაგოგის პირადი საქმეების შესწავლა. მათი უმრავლესობა საჯარო სკოლის შესაბამისი საგნის მასწავლებელია, ერთ-ერთი მათგანი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სერთიფიცირებულია, ხოლო 6 კოლეჯის პროფესიული მასწავლებელია. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციას.

ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ისინი იცნობენ კონკრეტულ მოდულებს, გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები და გააზრებული აქვთ საკუთარი პასუხისმგებლობები. დაწესებულების ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ იგეგმება ამ მასწავლებლების მუდმივი დატრენინგება შიდა რესურსებითაც.

4. სასტუმრო მომსახურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება მისი პირადი საქმით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროგრამით და დირექტორის ბრძანებით N 01-04/91 26 ივნისი 2020 წელი. ბრძანებით განსაზღვრულია მისი საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება ტურიზმის მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
5. დაწესებულების მიერ სასტუმრო მომსახურების საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ინტეგრირებული მოდულებისათვის განსაზღვრული ყველა სახელმძღვანელო განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სახელმძღვანელოები საბიბლიოთეკო წესითაა დამუშავებული. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია ოთხი კომპიუტერი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ბიბლიოთეკის ფონდი, გარდა სავალდებულო ლიტერატურისა, მოიცავს სხვა ლიტერატურასაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. მათთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სტუდენტის არსებობის შემთხვევაში კონკრეტულ პროგრამაზე, უზრუნველყოფილი და დაკმაყოფილებული იქნება მისი საჭიროებები.
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფ. განათლ. მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ვებ-გვერდით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებელთან გასაუბრებით;
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შინაგანაწესით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- ინტერვიუირების შედეგებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.**

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯში მოქმედი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/06 ბრძანებით. დოკუმენტის თანახმად კოლეჯი ხელმძღვანელობს ,,პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ნორმატიული აქტებით, კოლეჯის წესდებითა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით. დაწესებულების მიერ შემუშავებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი მოიცავს სისტემურობის და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -,,დაგეგმე განახორციელე-შეამოწმე და განავითარე.

   დაწესებულებაში შექმნილია და დირექტორის ბრძანებით N01-04/84 16.06.2020 დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ მუხლებს: პროგრამის დამატების ინიცირება, მიზანშეწონილობის დადგენა; პროგრამის დამატების პროცედურა; პროგრამის შემუშავების პროცესი; მოდულის ადაპტირების წესი; პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესი; შემუშავებული პროგრამის შეფასება/დამტკიცება; შემუშავებული პროგრამის დამატების პროცედურები; პროგრამის განვითარება და ცვლილებების შეტანა; პროგრამის გაუქმება; პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმი; პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი და მასში ცვლილებების განხორციელების წესი და პროცედურები. მეთოდოლოგია შემუშავებულია ყველა დადგენილი წესის დაცვით.

   მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, სოციალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

პარტნიორების, და ა.შ. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს.

ინტეგრირებული პროგრამის შეფასების მიზნით დაწესებულება გეგმავს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას: .დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებვულები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) გამოკითხვას; სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების განხილვას (დასწრების ოქმები, ანალიზი, უკუკავშირი); კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებლის შედეგების განხილვას; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზს. ამ პროცესისთვის შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები და წესები.

დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N01-04/05 ბრძანებით დამტკიცებულია „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“ რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანას, ასევე „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“, შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. დაწესებულებამ წარმოადგინა ამ მიზნით შემუშავებული კითხვარები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით დაწესებულებაში შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად.

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფები. შიდა მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი თავის მუშაობას ახორციელებს დამტკიცებული რეგულაციის შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვებს, მეცადინეობებისა და შეფასების პროცესის ანალიზს. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც დემინგის ციკლის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის 18.08.2017 წლის N 01-04/107 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში «სასტუმრო მომსახურება» რამდენჯერმე შევიდა დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებული ცვლილებები.

2. „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში დაწესებულების მხრიდან განხორციელდა სასწავლო პროცესზე დაკვირვება, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და აგრეთვე პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განმახორცილებელი პირების გამოკითხგა. ჩატარებული სამუსაოს ანლიზის საფუძველზე განხორციელდა მოდულებში შეფასების მეთოდის ცვლილება, კერძოდ ზეპირი გამოკითხვა შეიცვალა წერილობითი გამოკითხვით. ამ საკითხთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზეპირი გამოკითხვის მტკიცებულებები აუდიო ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

ვიდეო ჩანაწერებს მოითხოვდა, რაც სირთულეებთან იყო დაკავშირებული. შეიქმნა მრავალფეროვანი ტესტები, რომლებიც მოიცავს როგორც დახურულ ასევ ღია შეკითხვებს. განხორციელდა სასწავლო გეგმის ცვლილებაც, რომელშიც პროგრამის განხორციელების გამოცდილებიდან და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე მოდულები სხვა პრინციპით გადალაგდა.

განვითარების მიზნით პროგრამების „სასტუმრო მომსახურების“ განვითარებაზე ზრუნვა ხორციელდებოდა და კვლავაც იგეგმება:

- სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ მოდულის განხორციელების მიმდინარეობის ანალიზი და გაუმჯობესების გზების დასახვა. გასაუმჯობესებელი საკითხები შეიძლება ეხებოდეს: თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა.
- სწავლის მეთოდებისა და მიდგომების ან სასწავლო რესურსების გაუმჯობესება, რომლის ერთ-ერთი წყაროა საერთაშორისო პრაქტიკა, რომელსაც გაეცნო დაწესებულება და თვლის, რომ მისი დანერგვით მნიშვნელოვნად გააუმჯობესდება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი;
- დამსაქმებლიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

- კითხვარების შექმნა (პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სხვა), რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დ.ა.შ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N0104/06 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- დირექტორის 2019 წლის 16 იანვრის N0104/05 ბრძანებით დამტკიცებული „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესით, „პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა“;
- დირექტორის 08.01.2018 წლის N 0104/01 ბრძანებით დამტკიცებული ’’პროფესიული მასწავლებლებისათვის და პროფესიული სტუდენტებისთვის კითხვარების ფორმით, ამასთან კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფისათვის საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ფორმით;
- დირექტორის 28.09.2017 წლის N 0104/135 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის და სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფის ახალი შემადგენლობით შექმნისა და მათი ფუნქციამოვალეობების განსაზღვრის შესახებ“;
- 15.10.2019 წლის N 0104/171 ბრძანებით დამტკიცებული სხვადასხვა ფორმით (კალენდარული გეგმის ფორმა, შეფასების ინსტრუმენტის ფორმის (4 სხვადასხვა დავალებებისათვის) და უწყისის ფორმა, შეფასების ინსტრუმენტის შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

კითხვარის ფორმა, საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ფორმა, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების მტკიცებულებების შემოწმების კითხვარის ფორმა და შეფასების პროცესის განხორციელებაზე დაკვირვების ფურცლის ფორმა)

- ინტერვიუირების შედეგებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დოკუმენტაციის გაცნობისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ:

1. „სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის სასწავლო გეგმის და საათების განაწილების ტარიფიკაციის შესაბამისად შემუშავებულია მეცადინეობის განრიგი - ცხრილი. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს კოლეჯში დირექტორის 15.10.2019 წლის N01-04/171 ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად. ამ ეტაპზე ჯერ არ არის შედგენილი კალენდარული გეგმები ინტეგრირებული პროგრამებისთვის.
2. სწავლება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია ორ ცვლაში. სასწავლო გეგმით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

(უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას. საჭიროების შემთხვევაში შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით და ინტეგრირებული მოდულებით. აქვე უნდა ითქვას, რომ სასურველია მასწავლებლები სწავლის დაწყებამდე გაეცნონ წარმოდგენილ მატერიალურ რესურსებს, რომლებიც სწავლის პროცესში დასჭირდებათ. ამ რეკომენდაციის გაწევა, გამოიწვია იმ შემთხვევამ, რომ ერთი მასწავლებლის მიერ ვერ მოხერხდა ფიზიკის პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი რესურსის იდენტიფიცირება.

   როგორც ექსპერტების მიერ გადამოწმებული დამადასტურებელი დოკუმენტაციით (ცნობები, სერტიფიკატები და ტრენინგებზე დასწრების ფურცლები) დგინდება, პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ.

   სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით ხორციელდება პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) - სენიორ ექსპერტთა სერვისის (SES) ექსპერტების მიერ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

ინტეგრირებული მოდულების მასწავლებელთა გადამზადება ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის "საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზაცია, ფაზა II" ფარგლებში.

4. მასწავლებლებთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში".

   საჭიროების შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. ამ პროგრამისთვის ასეთი საჭიროება არ დამდგარა.

5. სასტუმრო მომსახურების პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება კოლეჯის შესაბამის ლაბორატორიებში და პარტნიორ კომპანიაში, სადაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები, კერძოდ:

   ა) სს ,,კოკა-კოლაბოთლესჯორჯია"-სფილიალი, სასტუმრო ,,Georgia Palace Hotel"ქობულეთი, აღმაშენებლისქ N 275;

   ბ) შპს,,ბლექსირიზორტსი" (ს/კ 405046542)მისამართი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, შეკვეთილი.

   გ) შპს ,,ვესტის" ს/კ 445502037;იურ. მის: ბათუმი, დ. თავდდებულის ქ N10, ბ 11

   დ) შპს ,,ტურინვესტი" (ს/კ 245555554) (სასტუმრო ,,Hilton") ბათუმი, რუსთაველიოსქ. N 40;

   ე) სასტუმრო დ აგამაჯანსაღებელი კომპლექსი ,,Castelo mare"ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ციხისძირი.

   ვ) შპს ,,MARINA COLISEUM" ს/კ 445418067. ბათუმი, შ ხიმშიაშვილის ქ. N 16.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

ზ)შპს ,,ბულვარის კარიბჭე'' (ს/კ 445407916, მისამართი: იურ: ქ.ბათუმი, კ.გამსახურდიას ქუჩა, N20, ფაქტ:ქ. ბათუმი რუსთაველის ქ.№24);

თ) შპს „ბაგრატიონი“ ს/კ 4483989304 იურ. მის: ხელვაჩაურის რ-ნო. ს. ზედა ერგე, მე-2 ქ.N6; ფაქტ. მის: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ N 130;

ი) ი. მ. ზურაბ შერვაშიძე ს/კ 61001062393, ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N 36/38

6. ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილია ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

   დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შემუშავებულია შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი. კოლეჯის უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს პერიოდულად უტარებოდათ ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების შესახებ. ეს აქტივობა იგეგმება სამომავლოდაც.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით
- მემორანდუმებით პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიუირების შედეგებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ექსპერტები გავეცანით დაწესებულების მიერ შემუშავებულ შეფასების სისტემას, რაც მდგომარეობს შემდეგში:

1. სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების“ მიხედვით.

   15.10.2019 წლის N 01-04/171 დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია: მოდიფიცირებული კალენდარული გეგმის ფორმა; შეფასების ინსტრუმენტის ფორმა (4 სხვადასხვა დავალებებისათვის), რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება; უწყისის ფორმა; შეფასების ინსტრუმენტის შეფასების კითხვარის ფორმა; საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ფორმა: პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების მტკიცებულებების შემოწმების კითხვარის ფორმა; შეფასების პროცესის განხორციელებაზე დაკვირვების ფურცელის ფორმა. ყველა ეს ფორმა განთავსებულია ვებ-გვერდზეც: https://kpc.ge/quality.html.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯში მოქმედებს პროფესიული სტუდენტების, კოლეჯის თანამშრომლებისა და მოქალაქეების მიერ შემოსული საჩივრების/პრეტენზიების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (31.07.2017 წლის ბრძ 0104/94), რომელიც განიხილავს შემოსულ საჩივრებს, კომისიაში შედიან. შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ასეთ ინციდენტს ამ დრომდე ადგილი არ ჰქონია.

**2.** შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი. ამ ფუნქციას ამ ეტაპზე ითავსებს პროგრამის ხელმძღვანელი, თუმცა შიდა ვერიფიკატორი შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელიც, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელიც ან ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა.

შიდა ვერიფიკატორი პირველ ეტაპზე ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალებისა და სცენარის, შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან თავსებადობა-შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორს პროფესიულ მასწავლებელთან უკუკავშირის საშუალებით საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილება „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“. მეორე ეტაპზე (მოდულის დასრულებიდან არაუმეტეს ერთ კვირაში) შიდა ვერიფიკატორი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების ავთენტიკურობასა და კომპეტენციების დადასტურებისათვის საკმარისობას და შემოწმების შედეგების ანგარიშს წარმოადგენს დასკვნის სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვიზიტისს პერიოდში ექსპერტები გავეცანით მოცემული პროგრამის შეფასების ინსტრუმენტის ნიმუშებს, მათში ვერიფიკატორის მიერ შეტანილ ცვლილებებს და მის მიერ შემოწმების შედეგების ანგარიშს. როგორც, ჩვენ მიერ შერჩეული შეფასების ინსტრუმენტები, ასევე ვერიფიკაციის შედეგად შეტანილი ცვლილებები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

**3.** დაწესებულებაში შემუშავებულია და დირექტორის შესაბამისი აქტის საფუძველზე (დირექტორის ბრძანება N0104/169 09.11.2018, რომელშიც ცვლილება შევიდა 16.01.2020 წლის N0104/04 ბრძანებით) დამტკიცებულია „სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადებისა და შენახვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის წესი“, რომლის მიხედვით და რაც ასევე დადგინდა სასწავლო პროცესის სპეციალისტთან გასუბრების შედეგად, დაწესებულებაში განხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა, შემდეგი პროცედურების დაცვით: მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი შეინახავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს მოდულის დასრულებამდე. შეფასების უწყისს წარადგენს სასწავლო პროცესის სპეციალისტთან მოდულის დასრულებიდან 1 დღის ვადაში, რის საფუძველზეც სასწავლო პროცესის სპეციალისტი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში. პროგრამის ხელმძღვანელი (ან/და კონკრეტული ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი ბრძანებით) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლისგან შესაბამისი დოკუმენტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საფუძველზე ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულის დასრულებიდან 5 დღის ვადაში; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა მოდულის დასრულებიდან ერთი დღის ვადაში; პროგრამის დასრულების შემდეგ სასწავლო პროცესის სპეციალისტი და პროგრამის ხელმძღვანელი საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენს ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭება/არმინიჭების შესახებ.

საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის შემდეგ შეფასების უწყისები და მტკიცებულებები წესის თანახმად ჩაბარდება სასწავლო პროცესის სპეციალისტს, რომელიც შესაბამისი აქტის საფუძველზე გადასცემს არქივს. არქივი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

მტკიცებულებების პროფესიულ სტუდენტზე გადაცემა ან განადგურება განხორციელდება შესაბამისი აქტის საფუძველზე, რომელიც ინახება მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის შენახვის ვადა კოლეჯში განსაზღვრულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად საარქივო დაწესებულებაზე გადაცემამდე ან მუდმივად.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ცვლილება ბრძანებაში შესულია 2020 წლის 16 იანვარს, შესაბამისად ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო, ეს პროცესი ჯერ კიდევ არ ამუშავებულა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*თბილისი, 2020*

PDF Eraser Free

დირექტორის 11.12.2017 წლის N0104/188 ბრძანებით დამტკიცებულია „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში მიღწეული სწავლის შედეგების გასაჩივრების ვადებიც.

4. პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

   აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიასთან დაკავსირებული პრობლემების გამო, ექსპერტებმა ვერ მოვახერხეთ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება და მხოლოდ პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით შემოვიფარგლეთ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დირექტორის 2017 წლის 31 ივლისის N 01-04/97 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციები“
- კოლეჯის ვებგვერდი https://www.kpc.ge/acts.html.
- დირექტორის 11.12.2017 წლის N01-04/188 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში მიღწეული სწავლის შედეგების გასაჩივრების ვადების დადგენასთან დაკავშირებით, შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები უწყისები, საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმები, ბრძანებები კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.;
- დირექტორის 11.12.2017 წლის N01- 04/188 ბრძანებით დამტკიცებული „მოდულური საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში მიღწეული სწავლის შედეგების გასაჩივრების ვადების დადგენასთან დაკავშირებით;
- მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
15.07.2020



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: